საქართველოში რელიგიის თავისუფლების შესახებ
2013 წლის საერთაშორისო ანგარიში

შინაარსის ზოგადი მიმოხილვა

საზოგადოდ, საქართველოს კონსტიტუციით, ნორმატიული აქტებით და პოლიტიკის დოკუმენტებით დაცულია რელიგიის თავისუფლება, და პრაქტიკულადაც, მთავრობა ამ უფლებისადმი უმთავრესად პატივისცემას გამოხატავდა. რამდენიმე შემთხვევაში სამთავრობო უწყებებმა რეაგირება არ მოახდინეს საზოგადოების წევრების მიერ განხორციელებულ მცდელობებზე, რომელიც რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წევრთა უფლებების შეზღუდვისაკენ იყო მიმართული. მთავრობა კვლავ უპირატესობას ანიჭებდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას (სმე) სადავო ქონების საკითხების გადაწყვეტის დროს. მთავრობამ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ასევე შეუნარჩუნა პრივილეგირებული იურიდიული და საგადასახადო სტატუსი, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არასრული გამიჯვნა შენარჩუნდა. საპრეზიდენტო არჩევნების დროს ზოგიერთი პოლიტიკოსი რელიგიის შეუწყნარებლობის გამომხატველ რიტორიკას მიმართავდა.

არსებობდა ცნობები რელიგიური კუთვნილების, რწმენის, ან ღვთისმსახურების პრაქტიკის საფუძველზე საზოგადოების წევრთა მიერ შეურაცხყოფისა და დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ. აღრიცხული შემთხვევები მოიცავდა რელიგიურ დევნას, რელიგიურ რიტუალებში ჩარევას, ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას, შევიწროვებასა და ვანდალიზმს.

აშშ-ის ელჩს და საელჩოს ოფიციალურ წარმომადგენლებს რეგულარული ურთიერთობა ჰქონდათ სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებთან, რათა წაეხალისებინათ

რელიგიის თავისუფლება და მთელს ქვეყანაში იმოგზაურეს რელიგიურ უმცირესობებთან ადგილზე შეხვედრის მიზნით. ელჩმა და საელჩოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა უმასპინძლეს და მონაწილეობა მიიღეს რელიგიური მრავალფეროვნებისა და შემწყნარებლობის ხელშემწყობ ღონისძიებებში, და ასევე წამოიწყეს რელიგიის გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდის კამპანიები. საელჩოს წარმომადგენლები რეგულარულად ხვდებოდნენ რელიგიური და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს რელიგიის თავისუფლების ხელშეწყობის მიზნით.

ნაწილი I. რელიგიის დემოგრაფია

აშშ-ის მთავრობის შეფასებით საქართველოს მთლიანი მოსახლეობა 4.6 მილიონს შეადგენს (2013 წლის ივლისის შეფასება). 2002 წლის აღწერის მიხედვით მართლმადიდებელი ქრისტიანები მოსახლეობის 84 პროცენტს შეადგენენ, სიდიდით მეორე ჯგუფი, მუსლიმები, 10 პროცენტს შეადგენენ, ხოლო სომხური სამოციქულო ეკლესიის (სსე) წევრები - 4% პროცენტს.

არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი ეთნიკურ, რელიგიურ კუთვნილებასა და მათი დასახლების ადგილს შორის. ეთნიკური ქართველების უმეტესობა თავს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მიაკუთვნებს. მოსახლეობის მცირე რაოდენობა, რომელსაც უმეტესწილად ეთნიკური რუსები შეადგენენ, რამდენიმე ისეთი მართლმადიდებელი ჯგუფის წევრები არიან, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არ მიეკუთვნებიან. ამ ჯგუფთა შორისაა: მოლოკანები, სტაროვერები („ძველი სარწმუნოების აღმსარებელნი“) და დუხობორები („სულისათვის მებრძოლნი“). ეთნიკური აზერბაიჯანელები, რომლებიც უმთავრესად მუსლიმები არიან, ქვემო ქართლში, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. დანარჩენ 2 მუსლიმურ

ჯგუფში შედიან აჭარაში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მუსლიმები და ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ჩეჩენი ქისტები. მრავალი მიგრანტი, რომელიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ცხოვრობს, ეთნიკურად ქართველი მუსლიმები არიან. ისინი თავდაპირველად აჭარაში ცხოვრობდნენ. ეთნიკური სომხები ძირითადად სომხური სამოციქულო ეკლესიის (სსე) მრევლს მიეკუთვნებიან და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ.

რომაელი კათოლიკეები, ქურთი იეზიდები, ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები და ებრაელები ერთობლივად ქვეყნის მოსახლეობის 5 პროცენტს შეადგენენ. „არატრადიციული“ რელიგიური ჯგუფების - როგორიცაა ბაპტისტები, იეღოვას მოწმეები, ორმოცდაათიანელები და კრიშნაიდები - წევრთა რაოდენობა იზრდება, მაგრამ ისინი ერთბლივად მოსახლეობის 1 პროცენტზე ნაკლებს შეადგენენ.

ნაწილი II. სახელმწიფოს მიერ რელიგიის თავისუფლების დაცვა სამართლებრივი/სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლები

საზოგადოდ, კონსტიტუციით, ნორმატიული აქტებით და სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებით დაცულია რელიგიის თავისუფლება. კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში, მაგრამ ასევე ითვალისწინებს ეკლესიის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას. არსებული კანონმდებლობით უზრუნველყოფილია რელიგიური რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, მათ შორის რელიგიური კუთვნილების არჩევისა და შეცვლის უფლება.

სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება მართლმადიდებელ ეკლესიას უნიკალურ სტატუსს ანიჭებს; სახელმწიფოს სხვა არც ერთ რელიგიურ ჯგუფთან კონკორდატი არ აქვს გაფორმებული. აღნიშნული

კონსტიტუციური შეთანხმება ისეთ უფლებებს ანიჭებს მართლმადიდებელ ეკლესიას, რომლითაც სხვა რელიგიური ჯგუფები არ სარგებლობენ, მათ შორისაა: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის სასამართლო იმუნიტეტი; სამხედრო-საჯარისო ფორმირების კაპელანებით დაკომპლექტების ექსკლუზიური უფლება; სასულიერო პირის სამხედრო ვალდებულებისაგან გათავისუფლება; და მთავრობისათვის კონსულტაციების გაწევის ფუნქცია, განსაკუთრებით - განათლების სფეროში. კონკონდარტის ზოგიერთი დებულების, მათ შორის სმე-ის მიერ კონსულტანციების გაწევის ფუნქციის, ასამოქმედებლად საჭირო კანონმდებლობა ჯერ არ არის დამტკიცებული პარლამენტის მიერ. სმე ერთადერთი რელიგიური ჯგუფია, რომლისთვისაც სახელმწიფოს წლიურ ბიუჯეტში ცალკე მუხლია გათვალისწინებული; სმე-ს 25 მილიონი ლარი (14.4 მლნ აშშ დოლარი) გამოეყო 2013 წელს.

საგადასახადო კოდექსით რელიგიური ჯგუფებისათვის გათვალისწინებულია გადასახადებისაგან ნაწილობრივი გათავისუფლება, მაგრამ ეს არათანაბრად ვრცელდება რელიგიურ ჯგუფებზე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გამოკლებით ყველა რელიგიური ჯგუფი ვალდებულია გადაიხადოს: მოგების გადასახადი საღვთისმსახურო პროდუქციის წარმოებაზე; დამატებითი ღირებულების გადასახადი საღვთისმსახურო პროდუქციის წარმოებაზე, ან მის იმპორტირებაზე; ასევე გადასახადები ყველა საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია მშენებლობასთან, რესტავრაციასა და რელიგიური ნაგებობების მოხატვასთან.

სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალულია ღვთისმსახურების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, ადამიანის დევნა მისი რელიგიური კუთვნილების, თუ რწმენის გამო, ასევე რელიგიური ორგანიზაციის დაარსებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა. დადგენილი წესების დარღვევა ისჯება ჯარიმით, თავისუფლების აღკვეთით, ან სასჯელის ორივე ზომის გამოყენებით; საჯარო სამსახურის მოხელის, ან თანამშრომლის მიერ ჩადენილი ამგვარი დარღვევები სამსახურებრივი

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად არის მიჩნეული და ჯარიმის უფრო დიდი ოდენობით, ან თავისუფლების უფრო ხანგრძლივი ვადით აღკვეთით ისჯება.

სასჯელაღსრულების დაწესებულებების უმტესობაში არის სმე-ის სამლოცველოები, მაგრამ არ არის გამოყოფილი სალოცავი ადგილები დენომინაციის არმქონე რელიგიური ჯგუფების წევრებისათვის. მთავარი პროკურატურა უფლებამოსილია სისხლის სამართლებრივი დევნა განახორციელოს ადამიანის უფლებების, მათ შორის რელიგიის თავისუფლების, დარღვევის შემთხვევებში. მთავარი პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის, ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს, კომპეტენციას განეკუთვნება რელიგიის თავისუფლების დაცვაზე მონიტორინგის წარმოება. სახალხო დამცველის ოფისი ადამიანის უფლებათა დაცვის ომბუდსმენის ფუნქციას ითავსებს და რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევების შესახებ მიღებულ საჩივრებს შეისწავლის.

კანონმდებლობის მიხედვით რელიგიის სწავლება დაშვებულია მხოლოდ სასკოლო დროისაგან თავისუფალ დროს და დაუშვებელია ამ პროცესის სკოლის ან მასწავლებლების მიერ გაკონტროლება. კანონმდებლობის მიხედვით დაუშვებელია, რომ გარეშე პირები, მათ შორის სამღვდელოების წარმომადგენლები რეგულარულად ესწრებოდნენ, ან ხელმძღვანელობდნენ მოსწავლეთა კლასგარეშე საქმიანობებს, ან სტუდენტთა კლუბებს და მათ შეხვედრებს.

ამგვარ საქმიანობას უძღვებიან სმე-ის არაწევრი თეოლოგები და არა მღვდლები. მთავრობისა და სმე-ის ერთობლივი კომისია მონიტორინგს ახორციელებს ქონების გადაცემის საკითხებზე და განსაზღვრავს, თუ რომელი კულტურული ძეგლია რელიგიური მნიშვნელობის მქონე. აღნიშნულ კომისიაში რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფები არ არიან წარმოდგენილნი. არ არსებობს ოფიციალური მექანიზმი სმე-ს,

რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფებსა და მთავრობას შორის წარმოშობილი ქონებრივი დავების მედიაციის მიზნით.
იეღოვას მოწმეების რელიგიური ჯგუფი აფხაზეთში კვლავ ოფიციალურად არის აკრძალული.

სამთავრობო სტრუქტურების პრაქტიკა

მთავრობამ ვერ შესძლო რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების მიერ მოთხოვნილი საეკლესიო საკუთრების - რომელიც ამჟამად სამთავრობო უწყებების კუთვნილებაშია - დაბრუნება, ან მისი მოვლა-პატრონობა. ამ თვალსაზრისით მთავრობის პოლიტიკასთან დაკავშირებით პრეტენზიები გააჩნდათ მუსულმანურ და ებრაულ ჯგუფებს, ასევე კათოლიკურ, ევანგელისტურ, ბაპტისტურ, და სომხურ მართლმადიდებელ ეკლესიებს. ასევე გამოითქვა პრეტენზიები საჯარო სკოლებში სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის არასათანადო აღსრულების შესახებ.

წლის ბოლოსთვის მთავრობამ რელიგიურ უმცირესობათა 22 ჯგუფი დაარეგისტრირა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, მათ შორის კათოლიკური ეკლესიის სამი განშტოება, ოთხი მუსულმანური ჯგუფი, ლუთერანები, იეზიდები, ორი ებრაული ჯგუფი, სსე, და ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია. მეშვიდე დღის ადვენტისტებმა და იეღოვას მოწმეებმა უპირატესობა მიანიჭეს არასამთავრობო ორგანიზაციებად რეგისტრაციის შენარჩუნებას და არა რელიგიურ ორგანიზაციად დარეგისტრირებას.

მას შემდეგ, როდესაც 2012 წელს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირდა, მან შესძლო თავისი ახალი ქონების დარეგისტრირება. თუმცა, 2012 წლამდე აშენებული ქონების სტატუსი კვლავ სადაო რჩება.

2012 წლის სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშში, რომელიც 2013 წელს გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ კვლავ გამოუძიებელია 2009-2011

წლებში მომხდარი რელიგიური შევიწროებისა და დისკრმინაციის 40 შემთხვევა.

სახელმწიფო სუბსიდიებით, რომელიც გაიცემა იმ საფუძველზე, რომ ზოგიერთი რელიგიური შენობა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ადგილებსაც განეკუთვნება, - კვლავ გრძელდებოდა იმ რელიგიური ქონების რესტავრაციის დაფინანსება, რომელიც წარსულში მათ მფლობელებს უკვე დაუბრუნდა. რელიგიურ უმცირესობათა რამდენიმე ჯგუფმა განაცხადა, რომ მთავარობა ამგვარ დაფინანსებას არ გამოყოფს ნეიტრალურად და თანასწორად.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 4.3 მილიონი ლარი (2.5 მლნ აშშ დოლარი) გამოყო რელიგიური ნაგებობებისა და კულტურული მემკვიდრეობის ადგილების რესტრავრაციის მიზნით. ამ დაფინანსების ერთი პროცენტი, ანუ 25,000 ლარი (14,367 აშშ დოლარი) სამინისტრომ გამოყო შამქორეცოცის ეკლესიის აღდგენის გეგმის შესამუშავებლად. სახელმწიფოს დაფინანსებით ახალციხეში მეჩეთის რესტავრაცია 2012 წელს დასრულდა.

საბჭოთა ეპოქის დროს ჩამორთმეული ქონების რესტიტუცია კვლავ საკამათო საკითხად რჩებოდა რელიგიური ჯგუფებისათვის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გამოკლებით. რომაულ-კათოლიკური ეკლესიის (რკე) და სსე-ის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ქონებრივი დავები გადაიჭრა არა გამჭვირვალე სამართლებრივი პროცესის მეშვეობით, არამედ მხოლოდ ცალკეული საქმეების განხილვის გზით და უპირატესობა აშკარად ენიჭებოდა სმე-ის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების დაკმაყოფილებას. რომაულ-კათოლიკური ეკლესიისა და სომხური სამოციქულო ეკლესიების წარმომადგენელთა თქმით მთავრობას ხშირად ამგვარი დავების გადაჭრის სურვილი არ ქონდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთა განაწყენების შიშით. დავა შეეხებოდა თბილისში მდებარე ხუთ ეკლესიას და ახალციხეში მდებარე ერთ ეკლესიას, რომლებიც წარსულში სომხურ სამოციქულო ეკლესიასა

და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნოდა. დავა არ შეხებია ხუთ ეკლესიას, რომელთა კუთვნილებაზეც პრეტენზია ჰქონდა რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა. სომხური სამოციქულო ეკლესიის განცხადებით არ განხილულა 30 სხვა ეკლესიის საკითხი, რომელთა კუთვნილებაზეც პრეტენზიას რომაულ-კათოლიკური ეკლესია აცხადებდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ისინი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა.

მთავრობამ რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას წლის ბოლოსათვის არ დაუბრუნა ახალციხეში, რაბათის კომპლექსში მდებარე კათოლიკური ეკლესია; არამედ ეს ეკლესია ნომინალურ ფასად იჯარით გადაეცა კათოლიკურ მოსახლეობას 100 წლის ვადით.

რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წევრებმა შეშფოთება გამოთქვეს იმ საეკლესიო ქონების მოვლა-პატრონობის შესახებ, რომელთა შესახებაც დავა მიმდინარეობდა. არსებობს ცნობები, რომ მრავალი საეკლესიო შენობა-ნაგებობის გარემონტება მათი ფიზიკური მდგომარეობის გამო უკვე შეუძლებელი ხდებოდა, მაგალითად თბილისში მდებარე სურბ ნშანის ეკლესია. აღნიშნული სადაო ქონება, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს სმე და სსე, რელიგიური მსახურებისათვის ბოლოჯერ საბჭოთა ეპოქამდელ პერიოდში გამოიყენეს. იანვარში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და სომხეთის კულტურის სამინისტრომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს კომისიის შექმნას სსე-ის ეკლესიების რეაბილიტაციის მიზნით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სმე, სსე, და არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ კომისიის მუშაობა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის „ქართუს ფონდიდადან“ დაფინანსდება.

მუსლიმები პრეტენზიას გამოთქვამდნენ იმის შესახებ, რომ მთელი რიგი მეჩეთები კვლავ მთავრობის კუთვნილებაში იყო როგორც კულტურული მემკვიდრეობის ადგილები.

სექტემბერში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო საქვეუწყებო დაწესებულებამ პოლიციის თანამშრომლები სოფელ ჭელაში მეჩეთის მინარეთის დემონტაჟის მიზნით მიავლინა, რომლის მშენებლობისას, სამინისტროს განცხადებით, იმპორტის შესახებ კანონმდებლობა დაირღვა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომელთა უმეტესობა აჭარის რეგიონიდან წამოსული მუსლიმია, პოლიციის მოქმედება მეჩეთზე თავდასხმად აღიქვეს და თავისი რეაქცია მძლავრი საპროტესტო აქციებით გამოხატეს. ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მინარეთის ასაშენებლად გამოყენებული მასალა თურქეთიდან საბაჟო პროცედურების მარეგულირებელი წესების დარღვევით იქნა შემოტანილი. სამინისტროს განმარტებით გამოყენებული მასალების ექსპერტიზის მიზნით მინარეთის დემონტაჟი აუცილებელი გახდა მას შემდეგ, როდესაც მეჩეთის ხელმძღვანელებმა პასუხი არ გასცეს მთავრობის წერილს, რომელიც მათ დარღვევების შესახებ ატყობინებდა. პოლიციამ ცხრა კაცი დააკავა, რომელთაც მინარეთის დემონტაჟის მიმდინარეობისას პროტესტი გამოხატეს და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს დაუპირსპირდნენ. ცხრა დაკავებული პირიდან პოლიციამ ექვსი მათგანი დააჯარიმა, თითოეული 400 ლარის ოდენობით (230 აშშ დოლარი), ხოლო პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო სამ მათგანს წლის ბოლოს კვლავ ბრალი ჰქონდა წაყენებული.

თუმცა მთავრობამ შემდგომ განაცხადა, რომ ის მინარეთს დაუბრუნებდა მეჩეთს, სმე-ის ხელმძღვანელების ჩარევის შემდეგ მინარეთი სხვა ადგილას გადაიტანეს შესანახად და მას ბრეზენტი გადააფარეს. მთავრობასა და სმე-ის მესვეურებს შორის დისკუსიების შემდეგ მართლმადიდებელი სამღვდელოების მაღალი ჩინის მქონე ორი სასულიერო პირი ახალციხეში გაემგზავრა სმე-ის მრევლის იმ ჯგუფთან შესახვედრად, რომელიც მინარეთის აღდგენას ეწინააღმდეგებოდა და მათ დაშლისაკენ მოუწოდა. მინარეთი „აღარ აღიმართება“, ამბობდნენ სასულიერო პირები და აქებდნენ იმ ჯგუფს, რომელსაც გზა გადაკეტილი ჰქონდა და ამ გზით ცდილობდა მინარეთის ჭელაში დაბრუნებისათვის ხელის შეშლას.

თუმცა, 28 ნოემბერს მინარეთის მოხსნიდან დაახლოებით სამი თვის შემდეგ მუსულმანური თემის წარმომადგენლებმა მინარეთი დაამონტაჟეს სამშენებლო ნებართვის მიღების შემდეგ, რომელიც სოფლის საკრებულომ წინა დღეს გასცა. სმე-ის მრევლმა მშვიდობიანად გააპროტესტა მინარეთის აღდგენა.

მაისის მიწურულიდან სმე-ის მრევლი სამთაწყაროში, აღმოსავლეთ კახეთის რეგიონში, საშუალებას არ აძლევდა ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას პარასკევის ლოცვები წაეკითხა საკუთარ, ახალ სამლოცველო სახლში. სავარაუდოდ სმე-ის მრევლის წარმომადგენლები ადგილობრივი იმამის სახლის გადაწვითა და სოფლიდან გაძევებით იმუქრებოდნენ. ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლების განცხადებით სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ახალი სამლოცველო სახლის არსებობას არ ემხრობოდა წინააღმდეგი იყო, რადგან მათი თქმით ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა მცირეა და მას არ საჭიროებს. იმ დროს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ ადგილობრივი მთავრობისათვის გაგზავნილი შეტყობინებების მიუხედავად, რომ დაეცვათ მუსლიმი მოსახლეობის რელიგიის გამოხატვის თავისუფლება, ადგილობრივი მუსლიმების განცხადებით ისინი თავს უსაფრთხოდ არ გრძნობდნენ ახალი სამლოცველო სახლის გამოყენებისას. თუმცა მთავარმა პროკურატურამ ინციდენტის გამოძიება დაიწყო, სახალხო დამცველის ოფისმა მთავრობა გააკრიტიკა იმის გამო, რომ არავის არ დაეკისრა პასუხისმგებლობა, რაც, ამ ოფისის განცხადებით, დაუსჯელობის გარემოს შექმნის და ანალოგიური ძალადობის შემთხვევებს წაახალისებს. სამთაწყაროში მომხდარი ინციდენტების გამოძიება ისე გაგრძელდა, რომ წლის ბოლოსათვის პოლიციას არვისთვის არ ჰქონდა ბრალი წაყენებული.

სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა თომას ჰამერბერგმა ადამიანის უფლებათა შესახებ შემუშავებულ ანგარიშში აღნიშნა, რომ სოფ. ჭელაში, სადაც მინარეთი ახლახანს აღადგინეს, ასევე სხვაგან,

რელიგიის გამოხატვის უფლების დარღვევის შემთხვევებზე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების რეაგირება „არაადექვატური“ იყო.
ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ „აგრესორებსა და ოფიციალურ სტრუქტურებს, მათ შორის სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამონაწილეობის არსებობის აღქმამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ამგვარი ინციდენტების სხვა სოფლებში გამეორებას და გავრცელებას.“

სმე-ის ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 17 მაისს მოწყობილი მიტინგის კონტრ-დემონსტრაციას, რომელიც რამდენიმე ასეული მონაწილისაგან შედგებოდა, მღვდლები წაუძღვნენ. კონტ-დემონსტრაციამ ძალადობა გააღვივა დემონტრაციის მონაწილეთ მიმართ, რომელთაგან მრავალი ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი (ელგებეტე) ჯგუფის წარმომადგენელი იყო. აღნიშნული ღონისძიება ფართოდ გაშუქდა ტელევიზიების მიერ, და ორი მღვდელი დააკავეს და წაუყენეს ბრალი შეკრების უფლების დარღვევის გამო. თბილისის სასამართლომ ერთ მღვდელს, თბლისის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის არქიმანდრიტ ანთიმოზ ბიჩინაშვილს წაყენებული ბრალი მოუხსნა. წლის ბოლოსათვის კვლავ მიმდინარეობდა იონე-თორნიკე ერისთავის სახელობის მონასტრის მამა იოთამ ბასილაიას და სამი სხვა ბრალდებულის საქმების სასამართლო განხილვა. სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა გააკრიტიკეს სასამართლო ხელისუფლება იმის გამო, რომ დემონსტრაციის ზოგიერთი ძალადობრივი მონაწილის წინააღმდეგ მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად არ ჩქარობდა მათ გასამართლებას

მთავრობა არაოფიციალურად შეხვდა ებრაულ თემს და სმე-თან მოთანამშრომლე არასამთავრობო ორგანიზაცია „21-ე საუკუნეს“ მთავრობის კუთვნილებაში არსებული სინაგოგების ებრაული თემისთვის შესაძლო გადაცემის საკითხის განსახილველად.

ებრაულმა თემმა სადავო გახადა კულტურული მემკვიდრეობის ადგილებად რეგისტრირებული მთელი რიგი სინაგოგების მთავრობის კუთვნილებაში არსებობა. ებრაული თემის განმარტებით ეს სინაგოგები მას ეკუთვნის და არა მთავრობას. თბილისში არსებული ორივე სინაგოგა ოფიციალურად სახელმწიფოს კუთვნილებაში რჩებოდა. თუმცა, მთავრობამ გააუქმა სინაგოგის, რომელსაც უმთავრესად ევროპელი ებრაელების თემი იყენებდა, 25 წლიანი იჯარით გადაცემაზე დაწესებული სიმბოლური გადასახადი და ებრაულ თემს გადასცა მისი კონტროლი, თუმცა კვლავ სახელმწიფო ზედამხედველობას დაუქვემდებარა. სავარუდოდ ებრაული თემი კმაყოფილი იყო ამ შეთანხმებით. სმე-ის მხარდაჭერით ებრაულმა თემმა და მთავრობამ მოლაპარაკებების წარმოება დაიწყო ანალოგიური შეთანხმების გაფორმების შესახებ თბილისში მდებარე იმ სინაგოგასთან დაკავშირებით, რომელსაც ძირითადად ქართველ ებრელთა თემი სარგებლობს, ასევე - გორში, ახალციხესა და ბათუმში მდებარე სხვა სინაგოგების შესახებ.

მთავარმა პროკურატურამ რელიგიური რიტუალის შესრულებაში უკანონო ხელისშეშლის ერთ შემთხვევაზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება, ხოლო რელიგიური შევიწროების სამ შემთხვევაზე სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო. ამასთან, მთავარმა პროკურატურამ იეღოვას მოწმეების ქონების სავარაუდო დაზიანების რამდენიმე ინციდენტის გამოძიება წამოიწყო. სახალხო დამცველის ოფისის ტოლერანტობის ცენტრის ცნობით წლის განმავლობაში იეღოვას მოწმეებმა 33 საჩივარი შეიტანეს მთავრობისა და საზოგადოების წევრთა მიერ წლის განმავლობაში მათი რელიგიური უფლებების დარღვევის შესახებ. სახალხო დამცველის ოფისი განაგრძობდა მუსულმანური თემიდან მიღებული ხუთი საჩივრის შესწავლას. ტოლერანტობის ცენტრს საჩივრებით ასევე მიმართა სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ, ორმოცდაათიანელთა ეკლესიამ, მეშვიდე დღის ადვენტისტებმა და ქართულმა პროტესტანტულმა ეკლესიამ.

სახალხო დამცველის ოფისმა აღნიშნა, რომ კვლავ ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც მასწავლებლები მართლმადიდებლური თეოლოგიის სწავლებას ხელს უწყობდნენ რელიგიური კურსების, საკლასო ოთახებში ლოცვების, ასევე სკოლებში ხატებისა და სხვა რელიგიური სიმბოლოების გამოფენის მეშვეობით. თუმცა, სმე-ის მღვდლებმა ადიგენში განაცხადეს, რომ ადგილობრივ საჯარო სკოლაში ისინი მოსწავლეებს მათემატიკას და სხვა საგნებს ასწავლიან და არა რელიგიას.

რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წევრებმა, მათ შორის ევანგელურ-ბაპტისტურმა და მუსულმანურმა ჯგუფებმა, განაცხადეს, რომ რამდენიმე შემთხვევაში საშუალო სკოლის რელიგიის ისტორიის კურსები მართლმადიდებლური კატეხიზმოს კურსების სახით ისწავლებოდა. სახალხო დამცველის ოფისმა რამდენიმე საჩივარი მიიღო იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლებში გამოფენილია რელიგიური საგნები, მათ შორის ჯვრები. ზოგიერთ სკოლაში მოწყობილი იყო მართლმადიდებლური სამლოცველო ოთახები, სხვა შემთხვევებში კი მართლმადიდებლური ეკლესიები თვით სკოლის შენობებში იყო განთავსებული. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტს მასწავლებლების შეუფერებელი საქციელის შესახებ მიღებული საჩივრების განხილვა დაევალა, რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფებმა განაცხადეს, რომ ოჯახები თავის იკავებდნენ პრობლემების შეტყობინებისაგან, რადგან ისინი არ იყვნენ დარწმუნებული დეპარტამენტის ეფექტურ მუშაობაში და ეშინოდათ, რომ მათი შვილების მიმართ შურისძიება განხორციელდებოდა. რელიგიურ უმცირესობათა ზოგიერთი ჯგუფის, მათ შორის ევანგელურ-ბაპტისტური ჯგუფის, ცნობით მშობლებმა აცხადებდნენ, რომ მათი შვილებისთვის სასკოლო გარემო უკეთესი იყო იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახი თავის რელიგიურ კუთვნილებას არ ამჟავნებდა.

მეშვიდე დღის ადვენტისტების ცნობით რამდენიმე შემთხვევაში მასწავლებლებმა და სკოლის დირექტორებმა უარი განაცხადეს შაბათ

დღეს, რომელიც ამ ჯგუფის დასვენების დღეა, დანიშნული მოსწავლეთა გამოცდების კვირის რომელიმე სხვა დღეს გადატანის შესახებ. მეშვიდე დღის ადვენტისტების თქმით სკოლის დირექტორებს არ შეუძლიათ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი გამოცდების განრიგის შეცვლა განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე. არსებული ინფორმაციის მიხედვით ერთ შემთხვევაში აჭარის რეგიონის დაბა ქედაში სკოლის მასწავლებელმა და დირექტორმა უარი უთხრა მეშვიდე დღის ადვენტისტების ჯგუფის წევრ ერთ მოსწავლეს, რომელმაც მათ გამოცდის სხვა დღეს დანიშვნის თხოვნით მიმართა. მასწავლებელმა და დირექტორმა გააკრიტიკეს მოსწავლის მიერ არჩეული რელიგია და არადამაკმაყოფილებელი ნიშანი დაუწერეს ტესტში, რადგან იგი ვერ დაესწრო გამოცდას. მას შემდეგ, როდესაც მეშვიდე დღის ადვენტისტების ჯგუფმა აღნიშნული შემთხვევის შესახებ სახალხო დამცველის ოფისს მოახსენა, ხოლო ამ ოფისმა განათლების სამინისტროს მოახსენა აღნიშნულის შესახებ, მოსწავლეს გამოცდაზე ხელახლა გასვლის ნება დართეს.

წლის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა მთავრობის მაღალი თანამდებობის პირების მიერ რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების დღესასწაულების მიმართ პატივისცემის გამოხატვის პრაქტიკა. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ივანიშვნილმა კათოლიკეებს მიულოცა აღდგომა, ხოლო რამადანის დროს მუსლიმ ლიდერებს იფტარის ვახშმით გაუმასპინძლდა. 15 ოქტომბერს ის თბილისში მდებარე მთავარ მეჩეთში მუსულმანთა მიერ დღესასწაულის აღნიშვნას შეუერთდა.

პარლამენტთან არსებულმა ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ღონისძიება გამართა. შეხვედრა, ხსოვნის პატივისცემად სანთლების ანთების ცერემონია, და გამოფენა ორგანიზებულ იქნა საერთაშორისო ფონდ „ლეას“, საქართველოში ებრაელ ქალთა საბჭოსა, და ებრაელთა საინფორმაციო ცენტრის მიერ.

თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს შეიარაღებული ძალების წევრებისათვის ჩაატარა ტრეინინგები რელიგიური სენსიტიურობის საკითხების შესახებ. სექტემბერში, „ავღანეთში საერთაშორისო უაფრთხოების დახმარების ძალების“ მისიის ფარგლებში ერაყში გამგზავრებამდე ბატალიონი თბილისში მდებარე ჯუმას მეჩეთს ესტუმრა.

მოლა ვაგიფ ახპეროვმა ჯარებსა და თავდაცვის მინისტრს ისლამური ტრადიციები გააცნო. ოქტომბერში მინისტი ალასანია რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლებს შეხვდა, რათა რელიგიურ უმცირესობათა წევრი ჯარისკაცების უფლებების მიმართ სამინისტროს პატივისცემა გამოეხატა და ბატალიონის წევრი ჯარისკაცებისთვის გაეცნო იმ ქვეყნის უმთავრესი რელიგია, სადაც მათ უნდა ემსახურათ.

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს მიღმა რჩებოდა და რთული იყო სარწმუნო ინფორმაციის მოპოვება. თუმცა ბაპტისტებმა, ლუთერანებმა და რომაელმა კათოლიკეებმა განაცხადეს, რომ მათ თავიანთი რელიგიის განხორციელების საშუალებას აძლევდნენ აფხაზეთში; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინფორმაციით კი მას ამის საშუალება არ ჰქონდა. სამხრეთ ოსეთში ოფიციალურმა ორგანოებმა ეთნიკური ქართველებით დასახლებული ნულის, ერედვის, მონასტერის და გერას მიდამოებში მდებარე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს საეკლესიო მსახურების ჩატარების უფლება არ მისცეს.

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ და საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელებმა ქართული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ნიშნების მოსპობის მიზნით სარესტრავრაციო სამუშაოები ჩაატარეს იმ ეკლესიებში, რომელიც ისტორიულად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნოდა, მათ შორისაა ლიხნის მონასტერი გუდაუთაში, აფხაზეთში.

იეღოვას მოწმეების ზოგიერთმა თემმა საქმიანი ურთიერთობა დაამყარა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რის შედეგადაც მათ საშუალება მიეცათ ზოგიერთი რელიგიური შეხვედრა და ღვთისმსახურება საჯაროდ ჩაეტარებინათ. იეღოვას მოწმეებს ოფიციალურად არ აღიარებენ სამხრეთ ოსეთში და რელიგიურ მსახურებებს ისინი კერძო შენობა-ნაგებობებში ატარებდნენ; არსებული ინფორმაციის მიხედვით დე ფაქტო ხელისუფლება მათ დროდადრო ავიწროებდა. სამხრეთ ოსეთში ახალგორის რაიონში ადგილობრივმა ხელისულფებამ იეღოვას მოწმეებს აცნობა, რომ ისინი ვეღარ განახორციელებდნენ რელიგიურ საქმიანობას, ხოლო მათი ლიტერატურა „ექსტრემისტული ლიტერატურის“ სიაში შეიტანეს.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემოგარენში მცხოვრებ ადამიანებს კვლავ სირთულეები ექმნებოდათ ადმინისტრაციული საზღვრების გადაკვეთისა და ამ ტერიტორიებზე ოჯახის წევრთა საფლავების მონახულების დროს, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთში. ოფიციალური ორგანოები არარეგულარულად რთავდნენ მათ საფლავების მონახულების ნებას, მაგალითად რელიგიური დღესასწაულების დროს.

მეშვიდე დღის ადვენტისტების ინფორმაციით მათი ეკლესიის წევრები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, მაგრამ მათთან ურთიერთობა არ ჰქონდათ. ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიას ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკლესიები აქვთ, მაგრამ ეს ეკლესიები რუსული ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის იურისდიქციის ფარგლებში ფუნქციონირებდა.

ნაწილი III. საზოგადოების წევრთა მიერ რელიგიის თავისუფლების დაცვის მდგომარეობა

არსებობდა ცნობები საზოგადოების წევრთა მიერ რელიგიური კუთვნილების, რწმენის, ან ღვთისმსახურების პრაქტიკის საფუძველზე შეურაცხყოფისა და დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ. რელიგიურ უმცირესობათა მთელი რიგი ჯგუფების წარმომადგენელთა თქმით ზოგიერთი ქართველი რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფებს ეროვნული ეკლესიისა და ქვეყნის კულტურული ღირებულებებისათვის საფრთხის შემცველად აღიქვამდა.

15 სექტემბერს მედიაში მოიყვანეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის პატრიარქ ილია II -ის ციტატა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თუმცა ხშირად საუბრობენ უმცირესობათა უფლებების დაცვის საჭიროებაზე, „უმრავლესობა ხშირად უფრო დაჩაგრულია“ ვიდრე უმცირესობათა ჯგუფები.

ივლისში, სამთაწყაროში სმე-ის მრევლმა სავარაუდოდ დააშინა ადგილობრივი მუსულმანი მოსახლეობა, იმამის სახლს ალყა შემოარტყა და მას და მის ოჯახს ემუქრებოდა და აფრთხილებდა, რომ შეეწყვიტათ ახალ სამლოცველო სახლში შეკრება. უცნობმა პირებმა სმე-დან სავარაუდოდ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს იმამის მეუღლეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) ინფორმაციით ამ ინციდენტის გამოძიება წლის ბოლომდე მიმდინარეობდა.

მეშვიდე დღის ადვენტისტებმა წარმოადგინეს კერძო სუბიექტების მიერ დაბეჭდილი ინფორმაციის მაგალითები, რომელიც ხელს უწყობდა რელიგიურ შეუწყნარებლობას. სექტემბერში გაზეთმა „ყველა სიახლე“, რომელიც შეზღუდული ტირაჟით ვრცელდება, გამოაქვეყნდა სტატია სათაურით „სექტანტების შემოტევა“, რომელშიც ნათქვამია, რომ მეშვიდე დღის ადვენტისტები „ქადაგებენ თავისუფალ სექსს, ჰომოსექსუალიზმს, ქმნიან პორნოსაიტებს“.

იეღოვას მოწმეებმა განაცხადეს საზოგადოების წევრთა მიერ მათ უფლებების დარღვევის რვა ახალი შემთხვევის შესახებ, მათ შორის საეკლესიო ქონების ვანდალიზმის შემთხვევის შესახებ, რომელიც შეეხებოდა კახეთის რეგიონის ლაგოდეხის რაიონში მდებარე „სამეფო დარბაზს“. მათი შეკრების დროს, 17 თებერვალს, სამმა მოზარდმა აგურები და ბეტონი ესროლა შენობას. თუმცა ეკლესიამ საჩივრით მიმართა ოფიციალურ ორგანოებს, შსს-ს ინფორმაციით მან ეკლესიას მარტში შეატყობინა, რომ სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად საკმარისი მტკიცებულება არ არსებობდა.

აღრიცხულია ანტი-სემიტიზმის ერთი ინციდენტი. 14 დეკემბერს დაახლოებით ოცმა ადამიანმა თბილისში, თავისუფლების მოედანზე ხანუქას დღესასწაულის აღნიშვნა გააპროტესტა, რომელსაც პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი დაესწრო. ინფორმაციის მიხედვით პროტესტის მონაწილეები უსტვენდნენ პრეზიდენტ მარგველაშვილის სიტყვით გამოსვლის დროს და უყვიროდნენ მას, რომ მონაწილეობა არ მიეღო სანთლების ანთების ცერემონიაში, შემდეგ კი მას „იუადას“ ეძახდნენ ამ დღესასწაულში მონაწილეობის გამო. პოლიციამ ორი მათგანი დააკავა ხულიგანიზმის ბრალდებით მას შემდეგ, როდესაც მათ დღესასწაულისათვის მოწყობილი სცენა დააზიანეს. ამის შემდგომ სმე-ის მღვდლების ჯგუფმა და მრევლმა საეკლესი მსახურება ჩაატარა ისრაელის საელჩოს წინ აღნიშნული ორი პიროვნების დაკავების პროტესტის ნიშნად. მედიის მიხედვით სმე-ის წევრები, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ, ამტკიცებდნენ, რომ ებრაული თემი თავისი რელიგიური დღესასწაულის თბილისის მთავარ მოედანზე საჯარო აღნიშვნით შეურაცხოფას აყენებდა იესო ქრისტეს და მათ რელიგიას. ამ დღესასწაულის გამართვაში ხელისშეშლას გამოეხმაურა სმე-ის პატრიარქი და გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გაემიჯნა ძალადობრივ მოქმედებას და „მიუღებლად“ მოიხსენია იგი, ასევე რელიგიის გამოხატვის სამართლებრივი უფლების დაცვის მხარდაჭერა დაადასტურა.

ნაწილი IV. აშშ-ის მთავრობის პოლიტიკა

აშშ-ის საელჩო რეგულარულად ხვდება პარლამენტის, რელიგიურ ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რათა ხელი შეუწყოს რელიგიურ შემწყნარებლობას. აშშ-ს მთავრობის მაღალი თანამდებობის პირებმა, მათ შორის დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ, და საელჩოს წარმომადგენლებმა საჯარო განცხადებები გააკეთეს რელიგიის თავისუფლების მხარდასაჭერად და ხელს უწყობდნენ დიალოგის გამართვას მთავრობასა და რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფებს შორის საზოგადოების შემწყნარებლობის გასაძლიერებლად.

ივნისში სამთაწყაროში მომხდარი ინციდენტების შემდეგ, როდესაც არსებული ინფორმაციის მიხედვით სმე-ის მრევლმა მუსულმანები არ შეუშვა თავიანთ სალოცავ სახლში, საელჩოს წარმომადგენლები გაემგზავნენ ამ სოფელში და შეხვდნენ თემის ლიდერებს მათი პრობლემების მოსასმენად და ღვთისმსახურების თავისუფლად აღსრულების უფლების მხარდასაჭერად.

26 ივლისს საელჩოს წარმომადგენლები სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებს ესტუმრნენ ახალციხეში და განიხილეს რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის გამოვლინებები.

15 აგვისტოს საელჩოს წარმომადგენლები მარნეულში გაეგმგზავნენ ადგილობრივ მუსლიმ ლიდერებთან შესახვედრად და რელიგიური შეუწყნარებლობის ინციდენტების განსახილველად. რელიგიის თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით საელჩოს წარმომადგენლები ასევე შეხვდნენ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც აზერბაიჯანული წარმოშობის მუსულმანურ მოსახლეობას წარმოადგენენ.

სექტემბერში საელჩოს წარმომადგენლები ესაუბრნენ ფინანსთა სამინისტროს და შსს-ს და გამოხატეს საელჩოს შეშფოთება ორივე სამინისტროს წარმომადგენლების მიერ ჭელაში მდებარე მეჩეთის მინარეთის დემონტაჟთან დაკავშირებით.

სექტემბერში დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე შეხვდა სრულიად საქართველოს პატრიარქს ილია II-ს, რათა განეხილათ შემწყნარებლობისა და ძალადობის დაუშვებლობის მნიშვნელობა. მან ასევე უხელმძღვანელა რელიგიურ საკითხებისადმი მიძღნილ მრგვალ მაგიდას, რომელსაც დაესწრნენ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, ებრაული, მუსულმანური, კათოლიკური თემებისა და სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები. მრგვალ მაგიდასთან ასევე განხილულ იქნა საპრეზიდენტო კამპანიის დროს მომხდარი რელიგიური შეუწყნარებლობის შემთხვევები.

სექტემბერში ელჩი გაემგზავრა ბათუმში, რათა რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები ადგილობრივ რელიგიურ ლიდერებთან განეხილა. ბათუმში ყოფნისას ელჩი ასევე შეხვდა საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს თანათავმჯდომარეს რელიგიური შემწყნარებლობისა და რელიგიის თავისუფლების მნიშვნელობის, ასევე სამთაწყაროსა და ჭელაში მომხდარი რელიგიური შეუწყნარებლობის ინციდენტების განსახილველად. 26 სექტემბერს ელჩი რელიგიათაშორის დიალოგს გაუძღვა. დიალოგს დაესწრნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ებრაული, მუსულმანური, და კათოლიკური თემებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. დიალოგს ჭელას მეჩეთის იმამიც ესწრებოდა. დიალოგის დროს ყურადღება გამახვილდა ადგილობრივი რელიგიური თემის პრობლემებსა და ჭელაში მდებარე მეჩეთიდან მინარეთის მოხსნაზე.

საელჩოს წარმომადგენლებმა ხელი შეუწყეს ხელისუფლებასა და რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლებს შორის

დიალოგის გამართვას, რომლის დროსაც ყურადღება გამახვილდა შემწყნარებლობის საკითხსა და საზოგადოებაში მის დამკვიდრებაზე. აშშ-ის საელჩომ მცირე გრანტები გასცა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე იმ პროგრამების მხარდასაჭერად, რომელიც განკუთვნილია რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წევრი ახალგაზრდებისათვის; რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების უფასო იურიდიული დახმარებისათვის; რელიგიურ უმცირესობათა მხარდამჭერი სამოქალაქო განათლების ინიციატივების განხორციელებისათვის; ასევე რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების შესახებ პოლიციის თანამშრომლების, ჟურნალისტებისა და სტუდენტების ინფორმირებულობის დონის გაზრდისათვის.

ნოემბერში საელჩოს წარმომადგენლები გაემგზავრნენ ჭელაში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და შეხვდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წევრებს, მუსულმანური თემისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს. შეხვედრების დროს საელჩოს წარმომადგენლებმა შეშფოთება გამოხატეს მეჩეთიდან მინარეთის მოხსნასთან დაკავშირებით და მისი აღდგენის შესახებ მოწოდება გააკეთეს.